



პროგრამის სახელწოდება

მშენებლობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის დარგის კვალიფიციური ინჟინრის მომზადება; სტუდენტისთვის მშენებლობის დარგის ფართო თეორიული ცოდნის მიცემა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება; სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობების განხორციელების ძირითადი სამშენებლო-საინჟინრო მეთოდებისა და მექანიზმების, საინჟინრო კონსტრუქციების პროექტირება-გაანგარიშების შესწავლა; ისეთი ცოდნის მიცემა და უნარების გამომუშავება, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს წარმატებული პროფესიული საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობისათვის შრომის ბაზარზე.

დასაქმების სფეროები

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება დასაქმების მრავალმხრივი შესაძლებლობა სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ კომპანიებში, საპროექტო და მშენებლობის ზედამხედველობის და ექსპეტიზის განმახორციელებელ ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/5 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო

ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებული აღწევს ქვევით მოყვანილ შედეგებს:

- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას;
- კურსდამთავრებულმა იცის საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების საფუძველები;
- კურსდამთავრებულმა იცის სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების სახეები და მათი თვისებები;
- კურსდამთავრებულმა იცის ღეროვანი სისტემების გაანგარიშების მეთოდები, როგორც სტატიკურ ასევე დინამიკურ დატვირთვებზე;
- კურსდამთავრებულმა იცის რკინაბეტონის, ლითონისა და ხის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძველები;
- კურსდამთავრებულმა იცის სამშენებლო მანქანების მუშაობის პრინციპები;
- კურსდამთავრებულმა იცის სამშენებლო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საინჟინრო გრაფიკის გამოყენება სამშენებლო ნახაზების შესაქმნელად;

- კურსდამთავრებულს შეუძლია ნიმუშების გამოცდა გაჭიმვა-კუმშვაზე, ჭრაზე, გრეხაზე, ღუნვაზე, მდგრადობაზე კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცისა და დეფორმატიულობის საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის დასადგენად;
- კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება;
- კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია დარგის ამოცანების და მეთოდების განსაზღვრა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, საფუძვლიანი დამუშავება და მიღებული ახალი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცოდნის გაღრმავება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერიტი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ლაბორატორიული მეთოდი

- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშროლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- შემთხვევების შესწავლა
- პროექტირება

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება ისეთი შეფასების ფორმები, როგორცაა: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

	ECTS
საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება	50
ინჟინერიის ზოგადი განათლება	44
მშენებლობის ინჟინერიის ძირითადი განათლება	130
ზოგადი პრაქტიკული განათლება	8
არჩევითი საგნები	8
სულ კრედიტების რაოდენობა	240

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.

ადამიანური და მატერიალური რესურსი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.